# ფერმერთა კოოპერატივების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში

ნინო ჩხეიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის სამაგისტრო საფეხურის მეორე კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (01/2021).

ნინო ჩხეიძე

03. 07. 2021

# აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის ფერმერთა კოოპერატივების როლს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. უფრო კონკრეტულად, შემოწმდა აქვს თუ არა ფერმერთა კოოპერატივებს მნიშვნელოვანი გავლენა სოფლის მეურნეობის კოოპერატივის წევრების კეთილდღეობასა და სოფლის მეურნეობის გაძლიერებაში. ეს ჰიპოთეზა გადამოწმდა კონტენტ ანალიზით, რომელშიც გამოყენებული იყო ქართული და უცხოური სამეცნიერო ბაზა, აგრეთვე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები და ანგარიშები. ასევე, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები კვლევაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კოოპერატივის წევრმა და არაწევრმა 46-მა ფერმერმა. კვლევის შედეგებმა დაადასტურა საკვლევი ჰიპოთეზა. გამოვლინდა წარმოების ხარჯების შემცირების, ხარისხისა და პროდუქტიულობის ზრდის ტენდენციები. ტექსტუალური კვლევის ანალიზმა დაადასტურა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის როლი კოოპერატივების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამასთან ერთად, გამოვლინდა კოოპერატივების წარმატების ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელთა შორის თვალშისაცემი ფინანსების ხელმისაწვდომობაა, რომლის მიზეზად შეიძლება დასახელდეს სახელმწიფოს მხრიდან დაბალი ჩართულობა და ფერმერებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიუწვდომლობა. ხელისშემშლელ ფაქტორებს განეკუთვნება ასევე ფერმერთა კოოპერატივის „კულტურის“ ნაკლებობა. კვლევის შედეგებმა ცხადყო კოოპერატივის უპირატესობები, ესენია: ფინანსებისა და გრანტების უკეთესად მოზიდვის, საექსპორტო ბაზარზე ხელმისაწვდომობის, წევრების დამატებით გაფართოებისა და მასშტაბის ეკონიმიის მიღწევის შესაძლებლობები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აგრობიზნესი, კოოპერატივი, საქართველოს აგრარული სექტორი, სოფლის მეურნეობა.

## Abstract

Course paper studies role of the farmer cooperatives in the development of the agricultural sector in Georgia. More specifically it evaluates whether farmer cooperatives have important impact on strengthening prosperity of the agricultural cooperative members and the agriculture in general. These hypotheses have been checked with content analyses in which Georgian and foreign scientific sources as well as international governmental and non-governmental reports have been used. Also, quantitative and qualitative methods were applied in the research in which 46 cooperative member and non-member farmers participated. Research results proved hypothesis of this paper. Tendencies have been revealed towards reduction of the production costs, increase in productivity and quality of services. Along with these results some of the barriers in cooperative development have been revealed, from which the most noticeable are access to the financial resources. Reason to this could be considered low level of the government involvement and inaccessible information to farmers. Another important barrier is lack of cooperative "culture" in farmers. Research results also revealed advantages of cooperatives, which are as follows: ability to attract financial resources and grants, access to export markets, expansion by adding more members and ability of reaching economies of scale.

Main search words are as follows: agribusiness, cooperative, agriculture of Georgia.